

აუთდორ.ჯი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	6
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	9

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	10
2. მომზადების საფუძვლები	10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები	13
4. საწარმოთა გაერთიანება და გუდვილის გაუფასურების ტესტირება	15
5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	16
6. შემოსავალი	20
7. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	20
8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	21
9. სხვა ხარჯები, წმინდა	21
10. ფინანსური ხარჯი	21
11. ზარალი საკუთარ სხვაობიდან, წმინდა	21
12. არამატერიალური აქტივები	22
13. იჯარები	22
14. ძირითადი საშუალებები	23
15. საინვესტიციო ქონება	23
16. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	23
17. ფული და ფულის ეკვივალენტები	25
18. სხვა რეზერვები	25
19. სხვა ვალდებულებები	25
20. მიღებული სესხები	25
21. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	26
22. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების ეფექტი	26
23. პირობითი ვალდებულებები	28
24. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	28
25. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	29
26. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	30

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

**აუთდორ.ჯი ჯგუფის ხელმძღვანელობას და დამფუძნებლებს
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ**

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „აუთდორ.ჯის“ (შემდეგში კომპანია) და მისი შვილობილი კომპანიების (შემდეგში ჯგუფი) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგების, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისაგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს შპს „აუთდორ.ჯი“ ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებს, საკუთარი კაპიტალის კონსოლიდირებულ მოძრაობას და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებულ მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ წარმართავდით აუდიტს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოებები - COVID-19

როგორც ეს აღწერილია ვრცლად კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების 25-ე შენიშვნაში, ჯგუფის საქმიანობაზე შესაძლოა ნეგატიური გავლენა იქონიოს ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელებამ, რომელიც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ გამოცხადებულ იქნა პანდემიად 2020 წლის მარტში. შექმნილი მდგომარეობის განუსაზღვრელობიდან გამომდინარე, მოცემული მომენტისთვის შეუძლებელია გონივრულად შეფასდეს აღნიშნულ მოვლენას რა ფინანსური გავლენა ექნება ჯგუფის საქმიანობაზე. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, კონსოლიდირებული ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვეთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-720718)

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

1 მაისი, 2020

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვეთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-720718)



შპს „ბიდიოს“ სახელით
თბილისი, საქართველო

1 მაისი, 2020

ავთდორ.ჯი ჯგუფი

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი	6	10,617,892	13,591,931
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	7	(4,094,423)	(5,620,118)
საერთო მოგება		6,523,469	7,971,813
ზარალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან, წმინდა		(4,573)	(376,715)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(771,717)	(1,180,295)
სხვა ხარჯები, წმინდა	9	(118,635)	(70,547)
საოპერაციო მოგება		5,628,544	6,344,256
ფინანსური შემოსავალი		639	-
ფინანსური ხარჯი	10	(2,394,857)	(2,707,386)
ზარალი საკურსო სხვაობიდან, წმინდა	11	(1,326,808)	(432,405)
შვილობილებისგან მიღებული დივიდენდები		11,890	11,019
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		1,919,408	3,215,484

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2020 წლის 1 მაისს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

ლელა ბერუაშვილი

9-38 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

აუთდორ.ჯი ჯგუფი

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი	6	10,617,892	13,591,931
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	7	(4,094,423)	(5,620,118)
საერთო მოგება		6,523,469	7,971,813
ზარალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან, წმინდა		(4,573)	(376,715)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(771,717)	(1,180,295)
სხვა ხარჯები, წმინდა	9	(118,635)	(70,547)
საოპერაციო მოგება		5,628,544	6,344,256
ფინანსური შემოსავალი		639	-
ფინანსური ხარჯი	10	(2,394,857)	(2,707,386)
ზარალი საკუროსო სხვაობიდან, წმინდა	11	(1,326,808)	(432,405)
შვილობილებისგან მიღებული დივიდენდები		11,890	11,019
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		1,919,408	3,215,484

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2020 წლის 1 მაისს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი



ლელა ბერუაშვილი

9-38 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

აუთდორ.ჯი ჯგუფი

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018
გრძელვადიანი აქტივები			
გუდვილი	4	479,268	479,268
არამატერიალური აქტივები	12	2,299,443	2,927,882
აქტივის გამოყენების უფლება	13	814,926	-
ძირითადი საშუალებები	14	5,469,148	5,268,836
საინვესტიციო ქონება	15	7,600,000	7,600,000
		16,662,785	16,275,986
მიმდინარე აქტივები			
მარაგები		883	883
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16	3,835,291	2,268,338
ფული და ფულის ეკვივალენტები	17	166,028	640,512
		4,002,202	2,909,733
სულ აქტივები		20,664,987	19,185,719
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		100	100
სხვა რეზერვი	18	8,790,762	8,232,466
დაგროვილი ზარალი		(1,969,670)	(3,861,560)
კომპანიის მეწილეებს მიკუთვნებული კაპიტალი		6,821,192	4,371,006
არამაკონტროლებლის წილი		49,333	48,097
		6,870,525	4,419,103
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სხვა ვალდებულებები	19	134,056	607,743
საიჯარო ვალდებულებები	13	783,952	-
მიღებული სესხები	20	11,544,913	10,005,654
		12,462,921	10,613,397
მიმდინარე ვალდებულებები			
მიღებული სესხები	20	-	616,475
სხვა ვალდებულებები	19	583,161	571,962
საგადასახადო ვალდებულებები		90,114	135,761
საიჯარო ვალდებულებები	13	147,243	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21	511,023	2,829,021
		1,331,541	4,153,219
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		20,664,987	19,185,719

აუთდორ.ჯი ჯგუფი

კაპიტალში ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სხვა რეზერვები	არამაკონტროლ ებელი წილი	სულ
2017 წლის 31 დეკემბერი	100	(7,150,416)	3,073,255	53,417	(4,023,644)
ცვლილება სააღრიცხვო პოლიტიკაში - ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები	-	111,223	-	-	111,223
2018 წლის 1 იანვარი, სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების შემდეგ	100	(7,039,193)	3,073,255	53,417	(3,912,421)
კონტროლის არმქონე საწარმოზე გადახდილი დივიდენდი	-	-	-	(43,171)	(43,171)
სხვა რეზერვების ზრდა	-	-	5,159,211	-	5,159,211
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	3,177,633	-	37,851	3,215,484
2018 წლის 31 დეკემბერი	100	(3,861,560)	8,232,466	48,097	4,419,103
კონტროლის არმქონე საწარმოზე გადახდილი დივიდენდი	-	-	-	(26,282)	(26,282)
სხვა რეზერვების ზრდა	-	-	558,296	-	558,296
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	1,891,890	-	27,518	1,919,408
2019 წლის 31 დეკემბერი	100	(1,969,670)	8,790,762	49,333	6,870,525

9-38 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ავტოდორ.ჯი ჯგუფი

ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		1,919,408	3,215,484
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	12,14	1,071,692	1,119,431
აქტივის გამოყენების უფლების ამორტიზაცია		154,867	-
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება	16	109,647	397,429
ფინანსური შემოსავალი		(639)	-
ფინანსური ხარჯი	10	2,394,857	2,707,386
ზარალი ძირითადი საშუალების გასვლიდან		4,573	376,715
წმინდა ზარალი საკუროს სხვაობიდან		1,326,808	432,405
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		6,981,213	8,248,850
სამუშაო კაპიტალის ცვლილება:			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა		(2,844,838)	(2,926,045)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა		280,561	1,618,584
საგადასახადო ვალდებულების შემცირება		(45,647)	(4,360)
სხვა ვალდებულების შემცირება		(1,299,424)	(1,279,453)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		3,071,865	5,657,576
გადახდილი პროცენტები		(464,940)	(564,175)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		2,606,925	5,093,401
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(878,987)	(156,249)
შვილობილი კომპანიების შეძენა		-	(1,750,000)
ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში		(1,203,000)	-
ძირითადი საშუალებების რელიზაციიდან მიღებული		18,822	1,131,594
ფულადი სახსრები			
საინვესტიციო ქონების შეძენა		-	(3,692,385)
მიღებული პროცენტები		639	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(2,062,526)	(4,467,040)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
სესხების მიღება		-	149,000
სესხის დაფარვა		(894,416)	(540,874)
საიჯარო ვალდებულების დაფარვა		(96,678)	-
კონტროლის არმქონე საწარმოზე გადახდილი დივიდენდი		(26,282)	(43,171)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(1,017,376)	(435,045)
ფულადი ნაკადების წმინდა (შემცირება) / ზრდა		(472,977)	191,316
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		640,512	461,783
საკუროს სხვაობის ცვლილების გავლენა ფული და ფულის ეკვივალენტებზე	11	(1,507)	(12,587)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		166,028	640,512

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ავტოდორ.ჯი (შემდგომში კომპანია) 2008 წლის ივნისიდან წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. კომპანიის მთავარ საქმიანობას წარმოადგენს გარე რეკლამირება. კომპანია ფლობს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისგან მიღებულ გარე რეკლამის განთავსების ექსკლუზიურ უფლებას თბილისში, კერძოდ, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ.თბილისი, ჭავჭავაძის ქ. N 17.

2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 70%-იანი მფლობელი იყო Mega Solutions Holding Corp, რომელიც რეგისტრირებულია და საქმიანობას ახორციელებს ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულების კანონმდებლობის მიხედვით. კომპანიის 20%-იანი წილის მფლობელია შპს „სამკუთხედი“, ხოლო 10%-იანი წილის - შპს „ჯეო ტეკი“, ორივე კომპანია საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. კომპანიის საბოლოო კონტროლის განმახორციელებელი პირია გიორგი ბერაძე (100%).

2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია წარმოადგენს ჯგუფის მშობელ კომპანიას და ფინანსურ ანგარიშგებაში იკონსოლიდირებს შემდეგ შვილობილ კომპანიებს:

	საქმიანობის ქვეყანა	წილის ფლობა		საოპერაციო საქმიანობა
		31.12.2019	31.12.2019	
შპს ზუგდიდი პალასი	საქართველო	100%	-	სხვა*
შპს როტინომი	საქართველო	50%	50%	სარეკლამო მომსახურება
შპს ავტოდორ მონიტორს +	საქართველო	50%	50%	სარეკლამო მომსახურება
შპს ავტოდორ ტრანსპორტი	საქართველო	100%	100%	სარეკლამო მომსახურება
შპს ავტოდორ პრინტ მედია	საქართველო	100%	100%	სარეკლამო მომსახურება
შპს ავტოდორ დიჯიტალი	საქართველო	70%	70%	სარეკლამო მომსახურება
შპს Ska-group	საქართველო	54%	54%	სარეკლამო მომსახურება
შპს ინდორ.ჯი	საქართველო	50%	50%	სარეკლამო მომსახურება

*საცხოვრებელი შენობების ყიდვა-გაყიდვა, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა

შპს ავტოდორ.ჯის შვილობილი კომპანიების ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა სარეკლამო პროდუქციის და სერვისების მიწოდება ინდივიდუალური და კორპორატიული კლიენტებისთვის. 2019 წელს შეძენილი შპს ზუგდიდი პალასი ფლობს მიწას ზუგდიდი მუნიციპალიტეტში და მომდევნო პერიოდში იგეგმება აღნიშნულ მიწაზე საცხოვრებელი კომპლექსის აშენება და შემდგომი რეალიზაცია. მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში აღნიშნულ კომპანიას არ გააჩნია აქტიური ოპერაციები. შპს ზუგდიდში განხორციელებული ინვესტიცია კომპანიამ განიხილა როგორც აქტივების შეძენის ოპერაცია საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიიდან.

2. მომზადების საფუძვლები

ა) ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

ჯგუფი იყენებს ერთი და იგივე სააღრიცხვო პოლიტიკას კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ყველა პერიოდისათვის. ეს სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაშია ყველა იმ სტანდარტთან, რომელიც ძალაშია კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგებაში წარმოდგენილი პერიოდებისთვის.

ჯგუფი არ იყენებს სხვადასხვა ვერსიას იმ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან დაკავშირებით, რომელიც წინა თარიღებისათვის იყო ძალაში და რომელთა დაკავშირებითაც შესული ცვლილებების სავალდებულო გამოყენება ძალაში შევიდა კონსოლიდირებული ფინანსური

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ანგარიშგების მომზადების პერიოდში. კომპანია არ იყენებს ახალ ფასს-ებს, რომელთა გამოყენება სავალდებულო არ არის, თუ სტანდარტით დაშვებულია მისი ვადამდელი დანერგვა.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ჯგუფი იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს, როგორც ამას მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არეები, რომლისთვისაც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ჯგუფი იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს, მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ბ) შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

გ) საქმიანობის უწყვეტობა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ჯგუფის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ჯგუფის ხელმძღვანელობას და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განაგრძონ ჯგუფი საქართველოში. ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ჯგუფის საქმიანობის უწყვეტობას. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია ჯგუფისთვის.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია შენიშვნა 26-ში. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

ახალი ფასს-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2019 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

ახალი სტანდარტები ან ინტერპრეტაციები, რომლებიც ეფექტურია 2019 წლის 1 იანვრიდან და არსებით გავლენას ახდენს ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე, არის შემდეგი:

- ფასს 16 „იჯარა“

გავლენა, რომელიც აღნიშნულმა სტანდარტმა იქონია ფინანსურ ანგარიშგებაზე, მოცემულია მე-22 შენიშვნაში. სხვა ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოცემულია ბასს-ის მიერ და ძალაში შევა მომდევნო წელს, არ არის მოსალოდნელი, რომ გავლენას იქონიებს ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე, რადგან ისინი ან არ არიან რელევანტური ჯგუფის საქმიანობასთან ან ჯგუფს უკვე აქვს ისეთი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც თავსებადია მათთან.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ პერიოდში და რომლებიც ჯგუფს ნაადრევად არ მიუღია. ისეთი სტანდარტები, რომლებიც სავარაუდოდ გავლენას მოახდენს ჯგუფზე ან რომელთა გავლენაც ამჟამად ფასდება, არის შემდეგი:

- ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და ბასს 8 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები (შესწორება - არსებითის განმარტება);
- ფასს 3 - საწარმოთა გაერთიანება (შესწორება - ბიზნესის განმარტება);
- ფინანსური ანგარიშგების განახლებული კონცეპტუალური საფუძვლები

ამჟამად, ჯგუფი აფასებს ცვლილებების მოსალოდნელ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

სხვა

ჯგუფს არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასსკ-ის მიერ გამოშვებული სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიის და მის კონტროლს დაქვემდებარებული შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებებს. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც კომპანიას:

- აქვს გავლენა ინვესტიციის ობიექტზე;
- იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება; და
- შეუძლია თავისი გავლენის გამოყენება უკუგებაზე ზემოქმედებისთვის.

კომპანია ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოაღნიშნული სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებები მომხდარი.

როდესაც კომპანია ინვესტიციის ობიექტში უმრავლესობაზე ნაკლებ ხმებს ფლობს, მას გავლენა ექნება ინვესტიციის ობიექტზე, თუ ხმის უფლება საკმარისია, რომ მას ჰქონდეს პრაქტიკული უნარი ერთპიროვნულად წარმართოს ინვესტიციის ობიექტის შესაბამისი საქმიანობა. იმის შეფასებისას, კომპანიის ხმის უფლება საკმარისია თუ არა ინვესტიციის ობიექტზე გავლენის განსახორციელებლად, კომპანია ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- კომპანიის ხმის უფლებათა რაოდენობა სხვა მფლობელების ხმის უფლებების რაოდენობასა და გაზიარებასთან შედარებით;
- კომპანიის, სხვა მფლობელებისა და სხვა მხარეების პოტენციური ხმის უფლებები;
- სხვა სახელშეკრულებო გარიგებებიდან წარმომდგარი უფლებები; და

• ნებისმიერი დამატებითი ფაქტი ან გარემოება, რომელიც მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანიის ამჟამად აქვს, ან არ აქვს უნარი, მართოს შესაბამისი საქმიანობა ისეთ დროს, როდესაც გადაწყვეტილებების მიღება საჭირო, მათ შორის ხმის მიცემის გამოცდილება წინა პარტნიორების კრებებზე. შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც კომპანიის კონტროლი შვილობილ კომპანიაზე წყდება.

საჭიროების შემთხვევაში ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან.

ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა შიდაჯგუფური ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქვითება.

საწარმოთა გაერთიანება

საწარმოთა შეძენას ჯგუფი აღრიცხავს შეძენის მეთოდის საფუძველზე. საწარმოთა გაერთიანებაში გადაცემული კომპენსაციას ჯგუფი აფასებს რეალური ღირებულებით, რომელიც გამოითვლება როგორც შეძენის თარიღით შეფასებული შემდეგი რეალური ღირებულებების ჯამი: მყიდველი

საწარმოს მიერ გადაცემული აქტივების, შეძენილი საწარმოს ყოფილი მესაკუთრეების მიმართ მყიდველი საწარმოს მიერ აღებული ვალდებულებებისა და მყიდველი საწარმოს მიერ გამოშვებული სააქციო წილის. საწარმოთა გაერთიანებასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარდება მოგებასა და ზარალში იმ პერიოდში როდესაც გაწეული იყო ეს დანახარჯები.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

შემდგომი თარიღისათვის ჯგუფი აფასებს შემდეგ იდენტიფიცირებად აქტივებსა და აღებულ ვალდებულებებს რეალური ღირებულებით, გარდა შემდეგისა:

- გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები, ასევე, დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოებიდან წარმოქმნილი ვალდებულება და აქტივები აღირდება და ფასდება ბასს 12-ისა და ბასს 19-ის შესაბამისად;
- ვალდებულება ან წილობრივი ინსტრუმენტი, რომელიც დაკავშირებულია შემდგომი საწარმოს წილობრივი გადახდის ჯილდოების გაცვლასთან მყიდველი საწარმოს წილობრივი გადახდის ჯილდოებზე, აღირიცხება ფასს 2 „წილობრივი გადახდა“-ს მიხედვით; და
- აქტივები, რომელიც კლასიფიცირდება როგორც გასაყიდად გამიზნული, აღირიცხება ფასს 5 „გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები“-ს შესაბამისად.

გუდვილი ფასდება როგორც სხვაობა შემდეგი მაჩვენებლებისა: გადაცემული კომპენსაცია, ნებისმიერი არამაკონტროლებელი წილი შემდგომი საწარმოში, შემდგომი საწარმოში ჯგუფის მიერ ადრე კუთვნილი სააქციო წილის შემდგომი თარიღისათვის შეფასებული რეალური ღირებულება, და შემდგომი იდენტიფიცირებადი აქტივებისა და აღებული ვალდებულებების შემდგომი თარიღისათვის წმინდა ღირებულებას შორის. თუ, შეფასების შემდგომ, შემდგომი იდენტიფიცირებადი აქტივებისა და აღებული ვალდებულებების წმინდა ღირებულება აღემატება გადაცემულ კომპენსაციას, ნებისმიერი არამაკონტროლებელი წილი შემდგომი საწარმოში და შემდგომი საწარმოში ჯგუფის მიერ ადრე კუთვნილი სააქციო წილის შემდგომი თარიღისათვის შეფასებულ რეალური ღირებულებას, მაშინ ნამეტი უნდა აღიარდეს მაშინვე მოგებასა და ზარალში როგორც შემდგომიდან მიღებული მოგება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს ჯგუფის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან.

ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები

როგორც ზემოთ აღინიშნა, ჯგუფი გადახედავს ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. საანგარიშგებო წლის განმავლობაში ჯგუფს არ შეუცვლია თავისი ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი ხელმძღვანელობს „მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების“ (ECL) მოდელით. ეს საჭიროებს მსჯელობას იმის შესახებ თუ როგორ იმოქმედებს ეკონომიკური ფაქტორები ECL მოდელზე, რაც განისაზღვრება შეწონილი ალბათობის საფუძველზე. ფასს 9-ის მიხედვით, ზარალის ანარცხის განსაზღვრა ხდება შემდეგნაირად: ა) 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - ისეთი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც გამოწვეულია იმ დეფოლტის მოვლენებისგან ფინანსურ ინსტრუმენტებზე, რომელთა მოხდენაც შესაძლებელია შემდგომი 12 თვის განმავლობაში. ბ) არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - ისეთი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც გამოწვეულია ყველა შესაძლო დეფოლტის მოვლენისგან, რომელთა მოხდენაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები (გაგრძელება)

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მოდელი მოქმედებს მაშინ, როდესაც ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი ანგარიშგების პერიოდისათვის მნიშვნელოვნად გაზრდილია მის თავდაპირველ აღიარებასთან შედარებით, ხოლო თუ არ არის გაზრდილი მოქმედებს 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. ჯგუფს შეუძლია განსაზღვროს რომ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი არ გაზრდილა მნიშვნელოვნად, იმ შემთხვევაში თუ აქტივს აქვს დაბალი საკრედიტო რისკი ანგარიშგების წარდგენის პერიოდისათვის. თუმცა, არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოქმედება ყოველთვის ვრცელდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე. დამატებითი ინფორმაცია სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუდასურების შესახებ იხილეთ მე-16 შენიშვნაში. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები. ჯგუფის მიერ ანარიცხის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს აქვს მიმდინარე ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენის შედეგად, და სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარავად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივებული რესურსების გასვლა და შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება. იმ შემთხვევაში, როდესაც ყველა ეს პირობა არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულების წარდგენა შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების რეალურად განხორციელებამ იმ შემთხვევაში, თუ ის არ არის აღიარებული ან დაფიქსირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში, შესაძლოა არსებითი გავლენა მოახდინოს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე.

არამატერიალური აქტივების შეფასება

ჯგუფი ფლობს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისგან მიღებულ გარე რეკლამის განთავსების ექსკლუზიურ უფლებას თბილისში, კერძოდ, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე.

ხელშეკრულების მიხედვით, ჯგუფი თბილისის მერიას უზდის ცვალებად გადასახდელებს, რომელიც დამოკიდებულია ჯგუფის მიერ სარეკლამო საქმიანობიდან გამომდინარე შემოსავალზე. აქტივის ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას (ექსკლუზიური უფლების მიღებისას) განისაზღვრა ისტორიულ გამოცდილებაზე დაფუძნებული ფულადი ნაკადების პროგნოზების და ხელმძღვანელობის დაშვებით განსაზღვრული რეკლამის განთავსების უფლების სასარგებლოს მომსახურების ვადის გათვალისწინებით. ჯგუფმა შეაფასა მომავალი სავარაუდო გადასახდელების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულება ლიცენზიის ვადის გათვალისწინებით. ლიცენზიის ვადად განსაზღვრულია 2021 წლის აპრილი.

დაშვებები, რაც გამოყენებულია რეალური ღირებულების დათვლისას, იყო ფულადი ნაკადების ზრდის ტემპი (2%) და დისკონტირების განაკვეთი (18%). აღნიშნული გადაიხედება მიმდინარე ეკონომიკური, ინდუსტრიული, მუნიციპალური, პოლიტიკური ან სხვა სპეციფიკური პირობების ცვლილების გათვალისწინებით.

ხელმძღვანელობამ, როგორც ზევით აღინიშნა, განსაზღვრა მოსალოდნელი ფულადი ნაკადები წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით და მოსალოდნელი საბაზრო პირობების გათვალისწინებით. გამოყენებული ზრდის ტემპი სარეკლამო ინდუსტრიის ადეკვატურია. გამოყენებული საპროცენტო განაკვეთი ასახავს სარეკლამო ინდუსტრიასთან დაკავშირებულ სპეციფიკურ რისკებს.

4. საწარმოთა გაერთიანება და გუდვილის გაუფასურების ტესტირება

2017 წლის 23 ივნისს შპს აუთდორ.ჯიმ შეიძინა შპს ჯეო ედსის 100%-იანი წილი. აღნიშნული კომპანიის შეძენისთვის შპს აუთდორ.ჯიმ გადაიხდა 3,150,000 ლარი. შპს ჯეო ედსი ახორციელებდა სარეკლამო საქმიანობას.

შესყიდული იდენტიფიცირებადი აქტივების და გადახდილი ანაზღაურების რეალური ღირებულების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შემენილი აქტივების რეალური ღირებულება:	2017
ძირითადი საშუალებები	63,936
ინვესტიციები	3,000
არამატერიალური აქტივები	2,437,241
ფული და ფულის ეკვივალენტები	11,741
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	195,573
სულ აქტივები	2,711,490
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	40,758
სულ ვალდებულებები	40,758
წმინდა აქტივები	2,670,732
საწარმოს შესაძენად გადახდილი თანხა	3,150,000
საწარმოთა გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი გუდვილი	479,268

2017 წლის ივლისში ჯგუფმა შეირჩა შპს ჯეო ედსი.

შემენილი ძირითადი საშუალებების რეალური ღირებულება განსაზღვრულია დამოუკიდებელი პროფესიონალი შემფასებლის შპს ბეიკერ ტილი ჯორჯიას მიერ. საწარმოთა გაერთიანების შედეგად შესყიდული აქტივების რეალური ღირებულება განსაზღვრულია მე-3 დონის საფუძველზე. შეფასებული რეალური ღირებულება ეფუძნება დანახარჯების მეთოდს სარეკლამო კონსტრუქციების შემთხვევაში და შემოსავლების მეთოდს არამატერიალური აქტივების შემთხვევაში. ზემოთმოცემული აქტივების რეალური ღირებულების შეფასება ეფუძნება აქტივების საუკეთესო გამოყენებას, რომელიც არ განსხვავდება მათი მიმდინარე გამოყენებისგან.

გუდვილის გაუფასურების ტესტირება

ჯგუფი ვალდებულია საწარმოთა გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი გუდვილი ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შეამოწმოს გაუფასურებაზე. ანაზღაურებად ღირებულებად განისაზღვრა აქტივის გამოყენების ღირებულება. აქტივის გამოყენების ღირებულება არის აქტივიდან ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულიდან მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება.

წლის განმავლობაში, გაუფასურების ტესტირებამ აჩვენა, რომ მანამდე აღიარებული გუდვილი არ არის გაუფასურებული. დისკონტირების განაკვეთი (დაბეგვრამდე), რომელიც გამოყენებულ იქნა ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გამოყენების ღირებულების დათვლისთვის შეადგენს 23.35%. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება ეყრდნობა მათ გამოყენების ღირებულებას, რომელიც გამოითვალა ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის განსაზღვრული ფულადი ნაკადების პროგნოზების საფუძველზე.

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

ჯგუფის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა რისკებთან და რისკების მართვა მისი საქმიანობის მნიშვნელოვანი კომპონენტია. რისკი დამახასიათებელია ჯგუფის საქმიანობისთვის, მაგრამ მისი მართვა ხდება უწყვეტი პროცესის საფუძველზე, რომელიც გულისხმობს რისკის იდენტიფიცირებას, მის შეფასებას და ყოველდღიურ მონიტორინგს, მისი ზღვარის დადგენისა და კონტროლის მიზნით. ჯგუფის ყველა წევრი ანგარიშვალდებულია მის პასუხისმგებლობებთან დაკავშირებულ რისკთან მიმართებაში. ჯგუფის ოპერაციებთან დაკავშირებული მთავარი რისკებია საკრედიტო რისკი და ლიკვიდურობის რისკი. ასევე, რისკი დაკავშირებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთსა და უცხოური ვალუტის გაცვლით კურსებთან დაკავშირებით. ქვემოთ წარმოდგენილია ჯგუფის რისკების მიმოხილვა და მათ მართვასთან დაკავშირებული ხელმძღვანელობის პოლიტიკა.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

ჯგუფის ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები, საიდანაც შესაძლებელია წარმოიშვას რისკები არის შემდეგი:

- ფული და ფულის ეკვივალენტები
- სავაჭრო და სხვა მოთხოვნები
- მიღებული სესხები
- სავაჭრო და სხვა ვალდებულებები
- საიჯარო ვალდებულებები
- სესხები
- სხვა ვალდებულებები

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2019	31.12.2018
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,443,763	2,143,495
ფული და ფულის ეკვივალენტები	166,028	640,512
	3,609,791	2,784,007
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	362,102	2,729,270
მიღებული სესხები	11,544,913	10,622,129
საიჯარო ვალდებულებები	931,195	-
სხვა ვალდებულებები	717,217	1,179,705
	13,555,427	14,531,104

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

რეალური ღირებულება არის საფასური, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდება ვალდებულების გადასაცემად ორგანიზებულ ოპერაციაში საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების დღეს, ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში იმ ბაზრის მიხედვით რომელზეც აქვს წვდომა ჯგუფს და ყველაზე ხელსაყრელია მოცემული თარიღისათვის. როცა შესაძლებელია, ინსტრუმენტის რეალური ღირებულებას ჯგუფი განსაზღვრავს მოცემული ინსტრუმენტის მოქმედ ბაზარზე კოტირებული ფასით. ბაზარი მოქმედად ითვლება, თუ აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციები მიმდინარეობს საკმარისი სიხშირითა და მოცულობით, რათა უზრუნველყოს ინფორმაცია ფასების თაობაზე მუდმივ რეჟიმში.

თუ მოქმედ ბაზარზე არ არსებობს კოტირებული ფასი, ჯგუფი რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს შეფასების მეთოდების გამოყენებით. შერჩეული შეფასების მეთოდი მაქსიმალურად იყენებს დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს, მინიმალურად ეყრდნობა არასაბაზრო მონაცემებს და ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტორს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები ფასის დადგენისას მიიღებდნენ მხედველობაში. თავდაპირველი აღიარებისას ამა თუ იმ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის გარიგების ფასი, ანუ გადახდილი ან მიღებული საკომპენსაციო თანხის რეალური ღირებულება. თუ ჯგუფი გადაწყვეტს, რომ რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას განსხვავდება გარიგების ფასისგან და რეალური ღირებულება არ დასტურდება იდენტური აქტივის ან ვალდებულების მოქმედ ბაზარზე არსებული კოტირებული ფასით, ასევე, ეს ღირებულება არ ეფუძნება შეფასებას ისეთი მეთოდის საფუძველზე, რომლის

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ცვლადებიც მოიცავენ მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მონაცემებს, ასეთ შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად შეფასდება რეალური ღირებულებით, რომელიც დაკორექტირდება სხვაობით ამ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის. ნებისმიერი სხვაობა ამ ღირებულებასა და შეფასების მეთოდით მიღებულ თავდაპირველ ღირებულებას შორის მოგვიანებით

სათანადო წესით აღიარდება მოგებაში ან ზარალში, ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს იმ დროისა, როცა შეფასება მთლიანად ეყრდნობა დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებს ან როდესაც გარიგება დაიხურება.

ჯგუფი ადგენს რეალურ ღირებულებას შემდეგი იერარქიის გამოყენებით:

დონე 1: კოტირებული საბაზრო ფასი (კორექტირების გარეშე) მოქმედ ბაზარზე ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტისთვის;

დონე 2: მონაცემები გარდა იმისა, რაც შედის პირველ დონეში და რომლებიც თვალსაჩინოა როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისაგან წარმოებული). ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც ფასდება შემდეგი მონაცემების გამოყენებით: მოქმედ ბაზრებზე კოტირებული საბაზრო ფასები მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის; კოტირებული ფასები მსგავსი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც ნაკლებად აქტიურად მიიჩნევა; ან შეფასების სხვა მეთოდები, რომლის ფარგლებშიც ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი არის პირდაპირ ან ირიბად თვალსაჩინო, საბაზრო მონაცემებიდან გამომდინარე;

დონე 3: აღნიშნული კატეგორია მოიცავს ყველა ინსტრუმენტს, რომლის ფარგლებში შეფასების მეთოდიცა მოიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობიან თვალსაჩინო მონაცემებს და არათვალსაჩინო მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინსტრუმენტის შეფასებაზე. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასება ხდება მსგავსი ინსტრუმენტებისთვის კოტირებული ფასების საფუძველზე, რომლის ფარგლებში მნიშვნელოვანი არათვალსაჩინო კორექტირებები ან დაშვებებია საჭირო, რათა აისახოს სხვაობები ინსტრუმენტებს შორის.

რეალური ღირებულების შეფასება, რომელიც გამოყენებულია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, სავაჭრო და სხვა ვალდებულებები და მიღებული სესხები მოხდა მე-2 და მე-3 იერარქიის საფუძველზე. აღნიშნული იერარქიებისთვის მოხდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდის გამოყენებით. რეალური ღირებულების შეფასება არაკოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტებისთვის მოხდა მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომელიც დადისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკის და დაფარვის ვადის მქონე ახალი ფინანსური ინსტრუმენტისთვის. 2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის არ მომხდარა ცვლილება მე-2 და მე-3 დონის შეფასების იერარქიისთვის გამოყენებულ შეფასების მეთოდოლოგიაში. ფული და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით. ასევე ჯგუფმა თვითღირებულებით აღრიცხული საინვესტიციო ქონების საბაზრო ღირებულების განსაზღვრისას გამოიყენა მე-2 და მე-3 დონის შეფასების იერარქიისთვის არსებული შეფასების მეთოდოლოგია.

ჯგუფის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:
 - საპროცენტო რისკი
 - უცხოური ვალუტის რისკი

სხვა ბიზნესების მსგავსად, ჯგუფი დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს ჯგუფის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ჯგუფის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ორგანიზაციის ფინანსური მხარისთვის.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. ჯგუფის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. ჯგუფის საკრედიტო რისკი ასევე განპირობებულია ფული და ფულის ეკვივალენტებით და ზანკსა თუ სხვა ფინანსურ ინსტიტუტებში არსებული დეპოზიტებით. ჯგუფის საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. ჯგუფი საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს. ჯგუფი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის ქმნის გაუფასურების ანარიცხს, რომელიც წარმოადგენს მომავალი ზარალის საუკეთესო შეფასებას. მთლიანი ანარიცხების ძირითადი ნაწილი მოდის საერთო რეზერვებზე, რომელსაც ჯგუფი ქმნის ვადაგადაცილების ანალიზის მიხედვით. ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი დებიტორებისთვის ჯგუფი ქმნის სპეციფიკურ რეზერვს.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	31.12.2019	31.12.2018
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,883,902	2,961,727
ფული და ფულის ეკვივალენტები	166,028	640,512
	4,049,930	3,602,239

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ჯგუფი ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

ჯგუფი ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს ჯგუფის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, ჯგუფი ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს.

წარმოდგენილი ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი ეფუძნება ნარჩენ საკონტრაქტო ვალდებულებებს.

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტე	31.12.2019
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	166,028	-	-	166,028
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,443,763	-	-	3,443,763
	3,609,791	-	-	3,609,791
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	362,102	-	-	362,102
სხვა ვალდებულებები	583,161	134,056	-	717,217
საიჯარო ვალდებულებები	231,759	500,028	199,410	931,197
სესხები	-	7,289,674	4,255,239	11,544,913
	1,177,022	7,923,758	4,454,649	13,555,429

აუთდორ.ჯი ჯგუფი**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

5.ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	31.12.2018
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	640,512	-	-	640,512
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,143,495	-	-	2,143,495
	2,784,007	-	-	2,784,007
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,729,270	-	-	2,729,270
სხვა ვალდებულებები	571,962	607,743	-	1,179,705
სესხები	616,475	5,775,626	4,230,028	10,622,129
	3,917,707	6,383,369	4,230,028	14,531,104

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ჯგუფის მიერ პროცენტული ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი) და საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი).

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. ჯგუფი დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგანაც გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე მიღებული სესხი. 2019 წლის 31 დეკემბრისთვის ჯგუფის მიერ აღებული ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი სესხები დენომინირებულია აშშ დოლარში.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა და ფულადი სახსრების მოძრაობა.

სავალუტო რისკის ანალიზი უცხოურ ვალუტებში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ლარი	აშშ დოლარი	31.12.2019
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	166,028	-	166,028
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,443,763	-	3,443,763
	3,609,791	-	3,609,791
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	362,102	-	362,102
სხვა ვალდებულებები	717,217	-	717,217
საიჯარო ვალდებულებები	79,706	851,491	931,197
მიღებული სესხები	-	11,544,913	11,544,913
	1,159,025	12,396,404	13,555,429
ღია სავალუტო პოზიცია	2,450,766	(12,396,404)	

აუთდორჯი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

	ლარი	აშშ დოლარი	31.12.2018
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	640,512	-	640,512
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,143,495	-	2,143,495
	2,784,007	-	2,784,007
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,729,270	-	2,729,270
სხვა ვალდებულებები	1,179,705	-	1,179,705
მიღებული სესხები	-	10,622,129	10,622,129
	3,908,975	10,622,129	14,531,104
ღია სავალუტო პოზიცია	(1,124,968)	(10,622,129)	

მოცემული ცხრილი წარმოადგენს ჯგუფის მგრძნობელობას შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით. გავლენა წმინდა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების ღირებულების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის:	ლარი/აშშ დოლარი + 20%	ლარი/აშშ დოლარი - 20%
მოგება/(ზარალი)	(2,479,281)	2,479,281
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის:	ლარი/აშშ დოლარი + 20%	ლარი/აშშ დოლარი - 20%
მოგება/(ზარალი)	(2,124,426)	2,124,426

კაპიტალის მართვა

ჯგუფი თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმუმაცია მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. ჯგუფის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას.

6. შემოსავალი

შემოსავლები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
შემოსავალი სარეკლამო საქმიანობიდან	9,852,182	12,045,912
შემოსავალი ბანერების გაყიდვიდან	386,340	994,429
სხვა	379,370	551,590
	10,617,892	13,591,931

7. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
იჯარის ხარჯი	(1,408,497)	(1,990,615)
ცვეთა და ამორტიზაცია	(1,036,345)	(1,093,061)
მონტაჟის ხარჯი	(510,237)	(1,012,510)
ბანერების ხარჯი	(314,295)	(774,245)
კომუნალური ხარჯი	(250,453)	(316,459)
აქტივის გამოყენების უფლების ამორტიზაცია	(154,867)	-
სარეკლამო კონსტრუქციების მიმდინარე შეკეთების ხარჯი	(17,097)	(5,950)
სხვა	(402,632)	(427,278)
	(4,094,423)	(5,620,118)

ავტოდორჯი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
შრომის ანაზღაურება	(434,172)	(398,191)
საექვო მოთხოვნების გაუფასურება	(109,647)	(397,505)
საკონსულტაციო მომსახურებები	(54,727)	(58,930)
საგადასახადო ხარჯი	(47,414)	(151,470)
ცვეთა და ამორტიზაცია	(35,347)	(26,370)
კომუნიკაციის ხარჯი	(16,327)	(15,866)
იჯარა	(14,434)	(1,200)
კომუნალური ხარჯი	(1,257)	(9,504)
სხვა	(58,392)	(121,259)
	(771,717)	(1,180,295)

9. სხვა ხარჯები, წმინდა

სხვა საოპერაციო შემოსავლები/(ხარჯები), წმინდა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
სხვა შემოსავალი		
გაუფასურებული მოთხოვნიდან მიღებული შემოსავალი	257,326	-
სხვა საოპერაციო შემოსავალი	59,457	75,195
	316,783	75,195
სხვა ხარჯი		
ძირითადი საშუალების ჩამოწერა	(200,643)	-
პირგასამტეხლო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისთვის	(200,000)	-
დასაბეგრი უსასყიდლო შემოსავლის არასაოპერაციო ხარჯი	(8,100)	(72,236)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(26,675)	(73,506)
	(435,418)	(145,742)
სულ სხვა ხარჯი, წმინდა	(118,635)	(70,547)

10. ფინანსური ხარჯი

ფინანსური ხარჯი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
სესხებთან დაკავშირებული ფინანსური ხარჯი	(1,475,016)	(2,176,757)
ლიცენზიებთან დაკავშირებული ფინანსური ხარჯი	(836,936)	(524,688)
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული ფინანსური ხარჯი	(82,905)	(5,941)
	(2,394,857)	(2,707,386)

11. ზარალი საკურსო სხვაობიდან, წმინდა

ზარალი საკურსო სხვაობიდან, წმინდა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
ფულადი სახსრების გადაფასებიდან მიღებული შედეგი	(1,507)	(12,587)
არაფულადი სახსრების გადაფასებიდან მიღებული შედეგი	(1,325,301)	(419,819)
	(1,326,808)	(432,406)

ავტოდორ.ჯი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

12. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	რეკლამის უფლება*	სხვა არამატერიალ- ური აქტივები	სულ
ისტორიული ღირებულება			
31.12.2017	6,968,040	71,699	7,039,739
31.12.2018	6,968,040	71,699	7,039,739
31.12.2019	6,968,040	71,699	7,039,739
ამორტიზაცია			
31.12.2017	(3,429,636)	(54,331)	(3,483,967)
პერიოდის ამორტიზაციის ხარჯი	(620,646)	(7,244)	(627,890)
31.12.2018	(4,050,282)	(61,575)	(4,111,857)
პერიოდის ამორტიზაციის ხარჯი	(621,195)	(7,244)	(628,439)
31.12.2019	(4,671,477)	(68,819)	(4,740,296)
წმინდა საბალანსო ღირებულება			
31.12.2018	2,917,758	10,124	2,927,882
31.12.2019	2,296,563	2,880	2,299,443

*დამატებითი ინფორმაცია რეკლამის უფლების შესახებ იხილეთ მე-3 შენიშვნაში.

13. იჯარები

ჯგუფი რეკლამის განსათავსებლად ქირაობს მცირე მონაკვეთებს (სარეკლამო კონსტრუქციების დასაყენებლად), ასევე სარეკლამო კონსტრუქციებსა და შენობა-ნაგებობების ფრაგმენტებს. ჯგუფს აღნიშნული საიჯარო ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს სხვადასხვა კომპანიასა და ფიზიკურ პირებთან, რომელთაგან ორი წარმოადგენს მიწის ნაკვეთის იჯარას და განსაზღვრულია ლარში, ხოლო სამი წარმოადგენს რეკლამის განსათავსებელი ადგილის/კონსტრუქციის იჯარას, საიდანაც ორი იჯარა განსაზღვრულია ლარში, ერთი კი - დოლარში. ყველა იჯარა არის ფიქსირებული იჯარის ვადის განმავლობაში.

აქტივების გამოყენების უფლება შეიძლება წარდგენილ იქნას შემდეგნაირად:

	მიწა	სხვა ადგილი რეკლამის განთავსებისთვის	სულ
1 იანვარი 2019	21,168	948,625	969,793
ამორტიზაცია	(4,453)	(150,414)	(154,867)
31 დეკემბერი 2019	16,715	798,211	814,926

საიჯარო ვალდებულება შეიძლება წარდგენილი იქნას შემდეგნაირად:

	მიწა	ადგილი რეკლამის განთავსებისთვის	სულ
1 იანვარი 2019	21,168	948,625	969,793
საპროცენტო ხარჯი	2,406	80,498	82,904
ძირის დაფარვა	(5,956)	(90,722)	(96,678)
პროცენტის გადახდა	(2,407)	(80,498)	(82,905)
კურსთაშორისი სხვაობა	-	58,082	58,082
31 დეკემბერი 2019	15,211	915,985	931,196

აუთდორ.ჯი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

14. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	მიწა	ბილბორდები და სარეკლამო კონსტრუქციები	შენობები	კომპიუტერები და ოფისის აღჭურვილობა	სხვა	სულ
31.12.2017		8,781,799	859,147	143,167	85,368	9,869,481
შემოსვლა		150,126	-	6,123	-	156,249
გასვლა		(963,470)	(859,147)	(48,115)	(69,750)	(1,940,482)
31.12.2018	-	7,968,455	-	101,175	15,618	8,085,248
შემოსვლა	875,000	118,826	-	2,172	-	995,998
გასვლა		(590,398)	-	(22,136)	(9,229)	(621,763)
31.12.2019	875,000	7,496,883	-	81,211	6,389	8,459,483
დაგროვილი ცვეთა						
31.12.2017		(2,579,335)	(52,677)	(104,792)	(20,787)	(2,757,591)
პერიოდის ცვეთა		(457,540)	(18,886)	(7,876)	(6,688)	(490,991)
გასვლა		314,378	71,563	33,135	13,094	432,170
31.12.2018	-	(2,722,498)	-	(79,533)	(14,381)	(2,816,412)
პერიოდის ცვეთა		(438,558)	-	(4,553)	(142)	(443,253)
გასვლა		239,746	-	20,819	8,765	269,330
31.12.2019	-	(2,921,310)	-	(63,267)	(5,758)	(2,990,335)
წმინდა საბალანსო ღირებულება						
31.12.2018	-	5,245,957	-	21,642	1,237	5,268,836
31.12.2019	875,000	4,575,573	-	17,944	631	5,469,148

2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებები (გარდა მიწისა) წარმოადგენდა ჯგუფის მიერ აღებული საბანკო იპოთეკური სესხის უზრუნველყოფას (შენიშვნა 20). რაც შეეხება მიწას, ზემოთ აღნიშნული თარიღებისთვის იგი დატვირთულია სს ვენჯორჯიას სესხის უზრუნველსაყოფად. სრულად გაცვეთილი აქტივები 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განისაზღვრებოდა შესაბამისად, 58,318 და 56,870 ლარით.

15. საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება მოიცავს ჯგუფის მიერ 2018 წელს შეძენილ 5,685 კვ.მ მიწის ნაკვეთს, რომელიც მდებარეობს შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის #116. საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება განსაზღვრულია დამოუკიდებელი პროფესიონალი შემფასებლის მიერ საბაზრო (გაყიდვების შედარების) მიდგომის მიხედვით და რეალური ღირებულება შეადგენს 8,445,377 ლარს (2,945,000 აშშ დოლარი). 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საინვესტიციო ქონება წარმოადგენდა ლევან და იოსებ ფხაკაძეების იპოთეკური სესხის უზრუნველყოფას.

16. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2019	31.12.2018
ფინანსური მოთხოვნები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,929,881	2,662,048
სავაჭრო მოთხოვნები დაკავშირებულ მხარეებთან	1,914,201	273,325
მისაღები დივიდენდები	39,820	26,353
	3,883,902	2,961,726
გამოკლებული: საექვო მოთხოვნების ანარიცხები	(440,139)	(818,231)
	3,443,763	2,143,496
არაფინანსური მოთხოვნები		
გადახდილი ავანსები	391,528	124,843
	3,835,291	2,268,338

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება, რომელიც კლასიფიცირებულია, როგორც ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული, არსებითად არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებებისაგან.

16. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

ჯგუფი ფასს 9-ზე გადასვლისთვის იყენებს გამარტივებულ მეთოდს, რათა განსაზღვროს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. იმისათვის, რათა განისაზღვროს მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი ჯგუფურად, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ხანდაზმულობის მიხედვით.

მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთები ეფუძნება ჯგუფის ბოლო სამი წლის საკრედიტო გაუფასურების გამოცდილებას. ისტორიული მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთი დაკორექტირდა არსებული და სამომავლო მაკროეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, რომელიც გავლენას ახდენს ჯგუფის მომხმარებლებზე. ჯგუფი ითვალისწინებს

მთლიანი შიდა პროდუქტის, უმუშევრობის და ინფლაციის დონეს, როგორც ძირითად მაკროეკონომიკურ ფაქტორებს.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი ვადაგადაცილების დღეების მიხედვით 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იქნას შემდეგნაირად:

	მიმდინარე	< 30 დღეზე	31-60 დღე	61-120 დღე	> 120 დღეზე	სულ
მოსალოდნელი დანაკარგი	1%	1%	3%	10%	50%	
სავაჭრო მოთხოვნა						
მთლიანი ღირებულება	769,409	643,202	524,440	576,818	1,503,864	4,017,733
ანარიცხი მოსალოდნელ დანაკარგზე	1,018	1,998	952	11,176	655,391	670,535

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი ვადაგადაცილების დღეების მიხედვით 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იქნას შემდეგნაირად:

	მიმდინარე	< 30 დღეზე	31-60 დღე	61-120 დღე	> 120 დღეზე	სულ
მოსალოდნელი დანაკარგი	1%	1%	3%	10%	50%	
სავაჭრო მოთხოვნა						
მთლიანი ღირებულება	947,053	298,292	125,467	270,349	1,235,993	2,877,154
ანარიცხი მოსალოდნელ დანაკარგზე	1,950	536	1,577	18,023	796,146	818,231

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხის ცვლილება შეიძლება წარმოდგენილი იქნას შემდეგნაირად:

	2019	2018
1 იანვარი 2018, ბასს 39-ის შესაბამისად	-	641,794
ცვლილების ასახვა საწყის გაუნაწილებელ მოგებაზე, ფასს 9-ის შესაბამისად	-	(111,223)
სავაჭრო მოთხოვნების საწყისი გაუფასურების ანარიცხი	818,232	530,571
ზრდა საანგარიშგებო წლის მანძილზე	109,647	397,429
წინა პერიოდებში ჩამოწერილი მოთხოვნების აღდგენა	(257,343)	-
საანგარიშგებო წლის მანძილზე ჩამოწერილი უიმედო მოთხოვნები	-	(109,768)
გაუფასურების ანარიცხის ცვლილება	(147,696)	287,661
31 დეკემბერი 2018	670,535	818,232

დამატებითი ინფორმაცია სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ვადიანობისა და ვალუტის შესახებ იხილეთ მე-5 შენიშვნაში.

17. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტების ნაშთი 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენს საბანკო ანგარიშზე ეროვნული ვალუტაში განთავსებული ფულადი სახსრების ნაშთს.

18. სხვა რეზერვები

სხვა რეზერვები მოიცავს სხვაობის თანხას დამფუძნებლის (Mega Solutions Holding Corp) მიღებული სესხის საბალანსო და გადასახადების გათვალისწინებით დათვლილ რეალურ ღირებულებას შორის, დამატებით იხილეთ მე-20 შენიშვნა.

19. სხვა ვალდებულებები

ჯგუფი ფლობს თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, გარე რეკლამის განთავსების ექსკლუზიურ უფლებას. აღნიშნული უფლება შეიძინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისგან. ხელშეკრულების მიხედვით, ჯგუფი მერიას უხდის ცვალებად გადასახდელებს, რაც დამოკიდებულია სარეკლამო აქტივობებიდან მიღებულ შემოსავალზე.

ვალდებულების რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას (ექსკლუზიური უფლების მიღებისას) განისაზღვრა ისტორიულ გამოცდილებაზე დაფუძნებული ფულადი ნაკადების პროგნოზების და ხელმძღვანელობის დაშვებით განსაზღვრული რეკლამის განთავსების უფლების სასარგებლოს მომსახურების ვადის გათვალისწინებით. დაშვებები, რაც გამოყენებულია რეალური ღირებულების დათვლისას, იყო ფულადი ნაკადების ზრდის ტემპი (2%) და დიკონტირების განაკვეთი (18%). ვალდებულებების შემდგომი აღიარება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით და მათი საბალანსო ღირებულება 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს შესაბამისად 717,216 ლარს და 1,179,705 ლარს.

20. მიღებული სესხები

მიღებული სესხები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

კონტრაგენტი	დაფარვის თარიღი	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	31.12.2019	31.12.2018
Mega Solutions Holding Corp.*	31/დეკ/25	აშშ დოლარი	18.00%	7,354,250	5,826,598
სს საქართველოს ბანკი**	22/ნოვ/28	აშშ დოლარი	6 თვიან ლიბორს + 5%, მინ. 7.5 %	4,190,663	4,795,531
				11,544,913	10,622,129

*2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს ჰქონდა დამფუძნებლისგან Mega Solutions Holding Corp-ისგან 13,467,728 ლარის ოდენობის მიღებული სესხი. აღნიშნული სესხის სფეციფიკური პირობების გათვალისწინებით (რაც განსხვავდება საბაზრო პირობებისგან), ჯგუფმა სხვაობა რეალურ და ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარა, როგორც დამფუძნებლის შენატანი კაპიტალში. 2019 წლის იანვარში შეიცვალა აღნიშნული სესხის გადახდის გრაფიკი, რადგან ჯგუფმა პერიოდის განმავლობაში დაფარა სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ გადასახდელ ოდენობაზე მეტი თანხა. შედეგად, ჯგუფმა აღიარა „სხვა რეზერვების“ ზრდა და შესაბამისი ეფექტი გაითვალისწინა კაპიტალში.

**სს საქართველოს ბანკის სესხები უზრუნველყოფილია ჯგუფის ძირითადი საშუალებებით, გარდა მიწისა (შენიშვნა 14). სესხების შესახებ დამატებითი ინფორმაცია მოცემულია მე-5 შენიშვნაში.

საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულების რეკონსილაცია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	10,622,129
მიღებული სესხები	-
დარიცხული პროცენტი	1,475,016
სესხის ღირებულების ცვლილება	(558,296)
სესხების დაფარვა	(894,416)
გადახდილი პროცენტი	(382,036)
საკურსო სხვაობის ცვლილების გავლენა	1,282,516
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	11,544,913

აუთდორ.ჯი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ლარში)

20. მიღებული სესხები (გაგრძელება)

საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულების რეკონსილაცია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	14,131,418
მიღებული სესხები	149,000
დარიცხული პროცენტი	2,176,757
სესხის ღირებულების ცვლილება	(5,159,211)
სესხების დაფარვა	(540,871)
გადახდილი პროცენტი	(564,175)
საკურსო სხვაობის ცვლილების გავლენა	429,211
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	10,622,129

21. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2019	31.12.2018
ფინანსური ვალდებულებები:		
სავაჭრო ვალდებულებები	234,955	2,640,121
სხვა ვალდებულებები	127,147	89,149
არაფინანსური ვალდებულებები:		
მიღებული ავანსები	148,921	99,751
	511,023	2,829,021

ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება დაფარვის მოკლე ვადის გამო არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებებისგან. სავაჭრო ვალდებულებები განაწილება ვალუტების მიხედვით მოცემულია მე-5 შენიშვნაში.

22. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების ეფექტი

ჯგუფი იყენებს ფასს 16-ს 2019 წლის 1 იანვრის თარიღით. ჯგუფმა არ შეასწორა შესაძარისი პერიოდის ინფორმაცია ახალ სტანდარტზე გადასვლის გამო. შესაბამისად, შესაძარისი პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ არის გადაანგარიშებული. აღნიშნული სახით მოცემულ სტანდარტზე გადასვლა გულისხმობს სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების ეფექტის აღიარებას სტანდარტის პირველადი გამოყენებისას (2019 წლის 1 იანვარი) კაპიტალის საწყის ნაშთში. ამ ცვლილების ეფექტი მოცემულია ქვემოთ.

ფასს 16 ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან, რომელმაც ჩაანაცვლა ბასს 17 – „იჯარა“ და ფასიკ 4 – „როგორ განვსაზღვროთ შეიცავს თუ არა კომპონენტი იჯარას“. ფასს 16-ის შესაბამისად მიღებული იჯარა აღიარდება, როგორც აქტივი და ვალდებულება. ფასს 16 ითვალისწინებს გამარტივებულ მიდგომას იმ საიჯარო ხელშეკრულებებისთვის, რომელთა ვადა 12 თვეზე ნაკლებია ან რომელიც უკავშირდება დაბალი ღირებულების მქონე აქტივის იჯარას. გაცემული საიჯარო ხელშეკრულებების აღრიცხვისთვის ფასს 16-ის მოთხოვნები არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-ის მოთხოვნებისგან. ჯგუფს არ აქვს მნიშვნელოვანი საიჯარო საქმიანობა, როგორც მემკვიდრე.

გადასვლის მეთოდი და გამოყენებული გათავისუფლება

ჯგუფმა გამოიყენა პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომა: სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის არ ევალება იმის ხელახლა შეფასება, ხელშეკრულება წარმოადგენს თუ არა საიჯარო ხელშეკრულებას, ან შეიცავს თუ არა იგი იჯარას. ისეთი ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც ადრე ბასს 17-ის „იჯარა“ და ფასიკ 4-ის „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“ შესაბამისად კლასიფიცირებული არ ჰქონდა, როგორც იჯარის შემცველი ხელშეკრულება არ მოხდა ფასს 16-ის გამოყენება. ფასს 16-ის მიხედვით იჯარის იდენტიფიკაცია გამოყენებულ იქნა მხოლოდ ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც დაიწყო ან ცვლილება შევიდა 2019 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ.

ფასს 16-ით დაშვებულია გათავისუფლებები, რომელთა ნაწილი ეხება სტანდარტის პირველადი გამოყენების შემთხვევას. ადრე, ბასს 17-ით საოპერაციო იჯარად კლასიფიცირებული იჯარის მიმართ ჯგუფმა გამოიყენა ფასს 16-ის შემდეგი გათავისუფლებები:

22. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების ეფექტი (გაგრძელება)

ა) არ გაითვალისწინა თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღით აქტივების გამოყენების უფლების შეფასებაში, იმ იჯარებისთვის, რომლებისთვისაც აქტივების გამოყენების უფლება იყო განსაზღვრული ისე, როგორც განსაზღვრა მოხდებოდა იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ფასს 16-ის გამოყენების შემთხვევაში;

ბ) არ აღიარა აქტივების გამოყენების უფლება იმ იჯარებთან მიმართებაში, რომლის იჯარის ვადა სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღის შემდეგ 12 თვის განმავლობაში იწურება. ამგვარი იჯარები მოკლევადიანი იჯარების მსგავსად აღირიცხება.

როგორც მოიჯარე, ჯგუფი ძველ პერიოდებში აკლასიფიცირებდა იჯარას საოპერაციო ან ფინანსურ იჯარად, იმის მიხედვით ხდებოდა თუ არა საიჯარო აქტივთან დაკავშირებული არსებითი რისკისა და სარგებლის გადაცემა. ფასს 16-ის მიხედვით, ჯგუფი 5 იჯარის შემთხვევაში აღიარებს გამოყენების უფლების სახით არსებულ აქტივს და საიჯარო ვალდებულებას. ჯგუფის დანარჩენი იჯარების ვადა 12 თვეზე ნაკლებია ან უკავშირდება დაბალი ღირებულების მქონე აქტივის იჯარას.

ფასს 16-ის დანერგვის შედეგად ჯგუფმა აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება აღიარა შემდეგნაირად:

კლასიფიკაცია ზასს 17-ით	აქტივების გამოყენების უფლება	საიჯარო ვალდებულება
საოპერაციო იჯარა	ადგილები სარეკლამო კონსტრუქციების გასათავსებლად: აქტივების გამოყენების უფლება აღიარებულია საიჯარო ვალდებულების ტოლი თანხით შესწორებული წინასწარი გადახდებითა და დარიცხული ვალდებულებით.	აღიარებულია მომავალი საიჯარო გადასახდელების ზღვრული სასესხო განაკვეთით დისკონტირებული ღირებულებით 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. ზღვრული სასესხო განაკვეთი არის საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივის გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა. ზღვრულ სასესხო განაკვეთად ლარში განსაზღვრული იჯარებისთვის საშუალო შეწონილ განაკვეთად გამოყენებულ იქნა 12.28%-ი, ხოლო აშშ დოლარისთვის - 8.09%-ი.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ის არეები, რომელზეც გავლენა იქონია ფასს-16-ის დანერგვამ:

	31 დეკემბერი 2018	ფასს 16	1 იანვარი 2019
აქტივები			
აქტივების გამოყენების უფლება	(ა)	-	969,793
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	(ბ)	-	969,793

(ა) აქტივების გამოყენების უფლების კორექტირება არის საოპერაციო ტიპის იჯარისთვის.

(ბ) ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს რეკონსილაციას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განმარტებული მინიმალური საიჯარო გადასახდელებიდან ფასს 16-ის მიხედვით 2019 წლის 1 იანვარს აღიარებულ საიჯარო ვალდებულებამდე.

22. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების ეფექტი (გაგრძელება)

	1 იანვარი 2019
მინიმალური საიჯარო გადასახელები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,804,802
გამოკლებული: მოკლევადიანი იჯარების ეფექტი	(330,572)
გამოკლებული: დაბალი ღირებულება საიჯარო აქტივის იჯარის ეფექტი	(148,454)
დაუდისკონტირებელი საიჯარო გადასახდელები	1,325,776
გამოკლებული: თავდაპირველი აღიარებისას ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთით ამორტიზების ეფექტი	(355,983)
საიჯარო ვალდებულება ბასს 17 მიხედვით საოპერაციო იჯარიდან	969,793
დამატებული: ბასს 17 მიხედვით ფინანსური იჯარის ვალდებულება	-
საიჯარო ვალდებულება 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	969,793

23. პირობითი ვალდებულებები

გადასახადები – საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციისაგან, ჯგუფის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და ჯგუფს დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. ჯგუფს მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ ჯგუფის ოპერაციები სამი წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო – საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

24. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, საერთო მფლობელობაში არსებულ კომპანიებს, ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებს. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

		31.12.2019		31.12.2018	
ურთიერთობა	ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	შესაბამისი მუხლის მთლიანი თანხა ფინანსურ ანგარიშგებაში	ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	შესაბამისი მუხლის მთლიანი თანხა ფინანსურ ანგარიშგებაში	
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		193,663	511,023	2,153,954	2,829,021
შპს ალმა	სხვა	190,609		2,122,100	
შპს ინმედია	მეკავშირე საწარმო	2,836		2,836	
სს ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია	საერთო კონტროლის დაქვემდებარებული	218		29,018	
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		1,906,551	3,835,291	60,363	2,268,338
შპს ავტოდორ მედია ჰაუსი	მეკავშირე საწარმო	-		60,000	
შპს ალმა	სხვა	1,906,188		-	
შპს ინმედია	მეკავშირე საწარმო	363		363	
სესხები		7,354,253	11,544,913	5,826,597	10,622,129
Mega Solutions Holding Copr.	დამფუძნებელი	7,354,253		5,826,597	

აუთდორჯი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

24. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ურთიერთობა		ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 2019	შესაბამისი მუხლის მთლიანი თანხა ფინანსურ ანგარიშგებაში	ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 2018	შესაბამისი მუხლის მთლიანი თანხა ფინანსურ ანგარიშგებაში
შემოსავალი		3,207,748	10,461,311	2,653,830	13,501,447
შპს ალმა	სხვა	2,999,899		2,580,610	
სს ვისოლ პეტროლიუმ	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	73,220		73,220	
ჯორჯია	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	51,029		-	
სს ვენჯორჯია	სხვა	50,259		-	
სს დი ენდ ბი საქართველო	მეკავშირე საწარმო	3,686		-	
შპს ინმედია					
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(1,202,898)	(4,054,275)	(1,915,484)	(5,656,588)
შპს ალმა	სხვა	(1,171,843)		(1,808,927)	
სს ვისოლ პეტროლიუმ	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	(2,217)		-	
ჯორჯია	მეკავშირე საწარმო	(28,838)		(28,838)	
შპს ინმედია					
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		15,179	(919,625)	(1,200)	(1,000,150)
სს ვისოლ პეტროლიუმ	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	-		(1,200)	
ჯორჯია	სხვა	15,179		-	
შპს ალმა					
მარაგების შესყიდვა		314,262	317,339	627,328	674,408
შპს ალმა	სხვა	314,262		627,328	

უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება:	53,625	12,000
მოკლევადიანი გასამრჯელო	53,625	12,000

25. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2019 წლის ბოლოს ჩინეთში გავრცელდა ახალი კორონა ვირუსი (COVID-19). მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისათვის ცნობილი იყო გარკვეული შემთხვევების შესახებ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მათ კორონავირუსი, როგორც გლობალური საფრთხე შეაფასეს მხოლოდ 2020 წლის 31 იანვარს, რადგან ვირუსის მნიშვნელოვანი განვითარება-გავრცელება არ მომხდარა 2020 წლის იანვრამდე. აღნიშნულის გათვალისწინებით, კორონა ვირუსით გამოწვეული ეფექტი წარმოადგენს არამაკორექტირებელ მოვლენას, შესაბამისად პროგნოზები და დაშვებები, რომლებიც გამოყენებულია 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში რელევანტურია და არ საჭიროებს ცვლილებას აღნიშნული მოვლენის (კორონავირუსი) გამო.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ კორონა ვირუსის დაავადების სწრაფად გავრცელების გამო პანდემია გამოაცხადა. ზოგადად ვირუსმა შესაძლოა ბევრ ინდუსტრიაზე მოახდინოს უარყოფითი ზეგავლენა შემდგომი მიზეზების გამო:

- საქონელსა და მომსახურებაზე მომხმარებლის მოთხოვნის შემცირება, დაკარგული შემოსავალი, მომხმარებელთა თავისუფლად გადაადგილების შეზღუდვის გამო
- კაპიტალური ინვესტიციების ნაკლებობა, მშენებლობების შემცირება, მომხმარებელთა მოთხოვნილებების შემცირების გამო პროდუქტებსა და მომსახურებაზე
- ფინანსურ აქტივებზე საბაზრო ფასების შემცირება, კაპიტალისა და სავალო ინსტრუმენტების ჩათვლით
- გლობალური მიწოდების ქსელის მოშლა, ადამიანებისა და საქონლის გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვების გამო.

26. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

ოპერაციებში ჯგუფი ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ჯგუფის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად ჯგუფი იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით პირვალდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოურ ვალუტაში განსაზღვრული რეალური ღირებულებით გადაიანგარიშდება რეალური ღირებულების დადგენის დღისათვის არსებული სავალუტო კურსით. კურსთაშორის სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი) ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც „წმინდა (ზარალი)/მოგება საკუროსო სხვაობიდან“. უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	დოლარი	ევრო
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6766	3.0701

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ფასს 9-მ ჩაანაცვლა ბასს 39 – ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება. ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. 2018 წლის 1 იანვრისთვის (ფასს 9 სტანდარტებზე გადასვლის თარიღისთვის), ჯგუფის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება ჯგუფის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები), ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

მიმდინარე და გრძელვადიანი სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის

26. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. ჯგუფი საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით, რომელიც აღიარებულია ხარჯად მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ჯგუფი სავაჭრო მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ჯგუფის ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ფულის და ფულის ეკვივალენტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ბანკში არსებულ თანხებს ან სამ თვემდე არსებულ დეპოზიტებს.

გაუფასურება

ფასს 9-ის მიხედვით, ჯგუფს ევალება მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების აღრიცხვა თავის ყველა სავალო ფასიან ქაღალდზე, სესხსა და სავაჭრო დებიტორულ ანგარიშზე, 12 თვიანი პერიოდისთვის ან მათი მთლიანი ვადისთვის. გაუფასურებასთან დაკავშირებული მოთხოვნების მიზანია, ფინანსური ინსტრუმენტების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებით, რომლის საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა, მიუხედავად იმისა, გაუფასურება ინდივიდუალურად შეფასდა თუ ჯგუფურად, რისთვისაც ჯგუფი ითვალისწინებს ყველა გონივრულ და შესაფერის ინფორმაციას, მათ შორის, საპროგნოზო ინფორმაციასაც.

ჯგუფი იყენებს გამარტივებულ მიდგომას და მოსალოდნელ ზარალს აღრიცხავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მუხლზე და სახელშეკრულებო აქტივზე. აღნიშნული მიდგომის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. გამარტივებული მიდგომა განიხილავს ზარალს სრულად მთელი პორტფოლიოსთვის, განურჩევლად იმისა ადგილი ჰქონდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას პირველადი აღიარების შემდგომ.

ჯგუფი საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების და საკონსტრაქტო აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი.

ჯგუფურად შეფასებული სავაჭრო მოთხოვნები

იმისათვის, რათა განისაზღვროს მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი ჯგუფურად შეფასებულ სავაჭრო მოთხოვნებზე, მოთხოვნები ჯგუფდება მსგავსი საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს აქვს მსგავსი რისკიანობის მახასიათებელი.

მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთები ეფუძნება ჯგუფის საკრედიტო გაუფასურების გამოცდილებას. ისტორიული მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთი კორექტირდება არსებული და სამომავლო მაკროეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, რომელიც გავლენას ახდენს ჯგუფის მომხმარებლებზე. ჯგუფი ითვალისწინებს მთლიანი შიდა პროდუქტის, უმუშევრობის და ინფლაციის დონეს, როგორც ძირითად მაკროეკონომიკურ ფაქტორებს, იმ ქვეყნისთვის სადაც ჯგუფი ოპერირებს.

გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა გაუფასურებულ აქტივებთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე და საბალანსო ღირებულებებს შორის. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების კატეგორიისთვის, რომლებიც წმინდა ღირებულებით არის წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში ასეთი რეზერვები აისახება ცალკე მუხლად, ხოლო შესაბამისი ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნული ფინანსური აქტივების ამოღება შეუძლებელია, აქტივის მთლიანი ღირებულება

26. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

მცირდება შესაბამისი რეზერვით. წინა პერიოდში ჩამოწერის აღდგენა აღიარდება მოგებასა და ზარალში.

ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების გაუფასურება

ჯგუფმა არაარსებითად შეაფასა საკრედიტო დანაკარგების რისკი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე მათი სწრაფი ლიკვიდურობიდან გამომდინარე. შესაბამისად, ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების მუხლზე ჯგუფი არ ახორციელებს გაუფასურების აღიარებას ფასს 9-ის შესაბამისად.

ფინანსური ვალდებულებები

ბასს 39 - ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება შეიცვალა ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტებით. ახალი სტანდარტების მიხედვით ფინანსური ვალდებულებები შესაძლებელია დაკლასიფიცირდეს შემდეგ კატეგორიებად - „რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით“ და „სხვა ფინანსურ ვალდებულებებად“. ჯგუფი ირჩევს მისი ფინანსური ვალდებულებებისთვის შესაფერის ბიზნეს მოდელს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

ჯგუფი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთობა იურიდიულად არ არის შეზღუდული და ჯგუფი გეგმავს ანგარიშწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

ფინანსური ვალდებულებებისა და აქტივების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც კონტრაქტიდან წარმომდგარი ფულადი ნაკადების მიღების უფლება იწურება, ან ეს უფლება კონტრაქტის საფუძველზე გადაეცემა სხვა მხარეს მფლობელობის უფლებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელთან ერთად. ნებისმიერი წილი გადაცემულ ფინანსურ აქტივში, რომელიც უნარჩუნდება ჯგუფს, მის მიერ აღიარდება, როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ჯგუფი გადახედავს მარაგების გარდა სხვა არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის მასშტაბი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, ჯგუფი აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზეც, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

26. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. წარმოქმნილი გაუფასურების ზარალი ამცირებს ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ჯგუფში სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებას პროპორციულად.

წინა წლებში აღიარებული გაუფასურების ზარალის გადახედვა ხდება ყოველ საანგარიშგებო პერიოდში, გაუფასურების ზარალის არსებობის ან შემცირების შეფასებასთან დაკავშირებით. თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული.

იჯარები

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ჯგუფი აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს; და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

ჯგუფი ფასს 16-ს იყენებს 2019 წლის 1 იანვრის თარიღიდან. ჯგუფმა არ შეასწორა შესადარისი პერიოდის ინფორმაცია ახალ სტანდარტზე გადასვლის დროს. მოცემულ სტანდარტზე გადასვლის ეფექტის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ მე-22 შენიშვნა. ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა რელევანტურია 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საანგარიშო პერიოდებისთვის.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარე საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ეს შეუძლებელია (როგორც ეს ხშირად ხდება), გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული საპროცენტო განაკვეთი.

აქტივების გამოყენების უფლება უნდა შეფასდეს საიჯარო ვალდებულებების თანხით და უნდა მოიცავდეს:

- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივების გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთით გამოკლებით.

აქტივს ცვეთა უნდა დაერიცხოს წრფივი მეთოდით იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე, ან აქტივის ეკონომიკური ვადის

26. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

განმვალობაში, თუ ეს უკანასკნელი განხილულია, როგორც უფრო მცირე ვადის მქონე, ვიდრე საიჯარო ვადა.

როდესაც ჯგუფი ცვლის იჯარის ვადას (იმიტომ რომ, მაგალითად, მან ხელახლა შეაფასა იჯარის გახანგრძლივების, ანდაც შეწყვეტის უფლება), საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით, ჯგუფმა ხელახლა უნდა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირება. თუმცა, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა აღიარდეს მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ზოგადი მიმოხილვა

ჯგუფი აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც ჯგუფი მოელის ამ საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. ჯგუფი იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

ჯგუფი შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

შესასრულებელი ვალდებულება და შემოსავლის აღიარების დროულობა

ჯგუფის შემოსავლის ძირითად ნაწილს წარმოადგენს ინდივიდუალური და კორპორატიული კლიენტებისთვის გარე რეკლამის მომსახურების გაწევა, სარეკლამო ბანერების გაყიდვა და სხვა მსგავსი საქონლის/მომსახურებების მიწოდება. დეტალური სააღრიცხვო პოლიტიკა შემოსავლის მაფორმირებელი ძირითადი საქმიანობისთვის წარმოდგენილია ქვემოთ:

შემოსავალი სარეკლამო მომსახურების გაწევით და სარეკლამო საქონლის მიწოდებით.

შემოსავალი რეგულარული მომსახურების მიწოდებიდან, როგორც არის გარე რეკლამის მომსახურება (რეკლამის განთავსება ბილბორდებზე, ციფრული რეკლამები მონიტორზე და სხვა) აღიარდება დროთა განმავლობაში, იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც მოხდა მომსახურების მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყოველთვიური ღირებულების შესაბამისად.

შემოსავალი სარეკლამო ბანერების გაყიდვიდან და სხვა ერთჯერადი მომსახურებიდან (მონტაჟი, ინსტალაცია და სხვა) აღიარდება მაშინ, როდესაც კონტროლი მოცემულ აქტივზე გადაეცემა მომხმარებელს. გარიგების ღირებულების გადახდა ხდება დაუყოვნებლივ, როდესაც ხდება მომხმარებლის მიერ საქონლის შესყიდვა, ან მომდევნო 1 თვის მანძილზე. აქედან გამომდინარე, შემოსავლის აღიარება ხდება იმ დროს, როდესაც მფლობელობა გადაეცემა მომხმარებელს ან ერთჯერადი მომსახურება არის მიწოდებული.

26. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

საკონტრაქტო ღირებულების განსაზღვრა

ჯგუფის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით. საკონტრაქტო ღირებულება ასევე მოიცავს ცვლად ანაზღაურებას, საურავებისა და ჯარიმების სახით.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

ჯგუფის კონტრაქტების არსებითი ნაწილი არის ფიქსირებულ ფასიანი. ყოველ მომსახურებაზე დგება დამოუკიდებელი ხელშეკრულება, რომელიც არ მოიცავს დამატებით მომსახურებას. შესაბამისად ჯგუფი მთლიან საკონტრაქტო ფასს კონკრეტულ მომსახურებაზე ანაწილებს.

გამოყენებული გათავისუფლება

ჯგუფმა გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:

- არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და
- ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახადელი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯების, რომლებიც არ იბეგრება ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში. ჯგუფის მიმდინარე გადასახადის ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2016 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება.

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

26. მნიშვნელოვანი სასარგებლო პოლიტიკა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ჯგუფი იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. ჯგუფის საკუთრებაში არსებულ მიწას ცვეთა არ ერიცხება. პერიოდის ცვეთის ხარჯი განაწილებულია საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებსა და რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაზე.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
ბილბორდები და სარეკლამო კონსტრუქციები	10-20
შენობა-ნაგებობები	40
მანქანა-დანადგარები, სატრანსპორტო საშუალებები და სხვა აღჭურვილობა	10
კომპიუტერები და ოფისის აღჭურვილობა	7
სხვა	30

სასარგებლო-მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომელსაც სასარგებლო გამოყენების სასრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო გამოყენების ვადაზე. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს და ნებისმიერი შეტანილი ცვლილების ეფექტი აღირიცხება პერსპექტიულად. არამატერიალური აქტივების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
რეკლამის უფლება	12
სხვა არამატერიალური აქტივები	5-10

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება, რომელსაც ჯგუფი ფლობს საიჯარო შემოსავლების მიღების ან კაპიტალის ღირებულების ზრდის ან ორივე მიზნით, გარდა ისეთი მიზნებისა, როგორიცაა გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, გამოყენება საქონლის წარმოების ან მიწოდების, მომსახურების გაწევის ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის. საინვესტიციო ქონება თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. ჯგუფი საინვესტიციო ქონების აღირიცხვისთვის იყენებს თვითღირებულების მოდელს.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა ჯგუფს უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

26. შენიშვნა 26. სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გასაყიდად გამიზნული მარაგების გაყიდვის თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამის შემოსავალი. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანუღირების) თანხა კი აღიარდება იმ მარაგების თანხის შემცირებად, რომელიც ხარჯადაა აღიარებული პერიოდში, როდესაც მოხდა უკუგატარება.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან არ არის მოსალოდნელი.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები, მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა ჯგუფში შესაძლებელია, აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა ჯგუფში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას. ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება წარმოადგენს ჯგუფის მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს ჯგუფიდან ეკონომიკური სარგებლის გასვლას. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ ჯგუფს არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს ჯგუფის ქმედებიდან, სადაც:

(ა) წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, ჯგუფის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, ჯგუფი მიაჩნის სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და

(ბ) შედეგად, მესამე მხარეს ჯგუფთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შესრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირდება მომავალში მისაღები ან გადასახადელი სავარაუდო ფულადი სახსრები ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს

26. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

განაკვეთს, რომელიც ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების შემოძინებას (ყველა მიღებული, ან გადახდილი საკომისიოს ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილს, გარიგებების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) დისკონტირების ფინანსური ვალდებულებების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო სასაარგებლო მომსახურების ვადის ამოწურვამდე, ან (თუ მისაღებია) უფრო მოკლე ვადაში.

თანამშრომელთა სარგებელი

დასაქმებულთა ანაზღაურების მოკლევადიანი ვალდებულება იზომება არადისკონტირებული თანხით და აღიარდება ხარჯად მომსახურების გაწევისთანავე. ვალდებულება აღიარდება იმ ოდენობით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია მოკლევადიანი ფულადი ბონუსის ან მოგების განაწილების გეგმით იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს მოცემულ მომენტში აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, გადაიხადოს მომსახურე პერსონალის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების საფასური და ეს ვალდებულება შეიძლება საიმედოდ იქნას შეფასებული.

მიღებული დივიდენდი

დივიდენდები მოგებაში ან ზარალში მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარდება, როდესაც: ა) დადგინდება საწარმოს უფლება გადახდილი დივიდენდების მიღებაზე; ბ) მოსალოდნელია დივიდენდებთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლა; და გ) დივიდენდის ოდენობის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

საწესდებო კაპიტალი

ჯგუფის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება ჯგუფის წესდებით. ჯგუფის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.